

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი(თანამდებობის პირი) – ცოტნე ბეჟაშვილი

თანამდებობის დასახელება - ფრაქციის „ქართული ოცნება“ თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება“

კომისიის დასახელება - ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია; სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისია.

არჩევის წესი - მაჟორიტარული (ქ.სიღნაღი)

საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 25 ოქტომბრამდე

ანგარიშის ტიპი(რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 18

*საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 17

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 18

*კომისიის სხდომებზე დასწრება - 17 (ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - 13, სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისია - 4).

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 5

*ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 5

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები -

ინიცირებულ საკითხებზე გამოიკა სამართლებრივი აქტები -

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

საკრებულოს სხდომებზე გამოტანილი, ჩემ მიერ მხარდაჭერილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა, იყო მნიშვნელოვანი.

6. საკრებულოს წევრის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები:

- ა) ქსილნალში სხვადასხვა ქუჩაზე (გოძიაშვილი, სარაჯიშვილი, ვაჟა-ფშაველა (ასევე კორპუსებს შორის), ჭავჭავაძე, გორგასალი, აბრამიშვილი, კვერნაძე) ჩატარდა ს/გზების/საფარის (ასფალტობეტონი, ქვაფენილი) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ბ) სილნალში „ნასამხრალის“ ტერიტორიაზე ჭაბურღილისა და წყალსადენის ქსელის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გ) ქსილნალისა და სოფ.ნუკრიანის დამაკავშირებელი გზის შეკეთება;
- დ) ქსილნალში გორგასალის ქუჩის მიმდებარედ ციხე გალავნის ტურისტულ ბილიკთან მისასვლელი ხის კიბის რეაბილიტაცია;
- ე) ქსილნალში მოხდა ორმილის გზის გასუფთავება ეკალ-ბარდებისაგან და კანალიზაციის მილის შეცვლა;
- ვ) ქსილნალის საჯარო სკოლაში მოწესრიგდა მისასვლელი კიბეები, ასევე შიდა სველი წერტილები და სპორტდარბაზი;
- ზ) ქსილნალში კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე ჭის გაწმენდა;
- თ) ქსილნალში ჩატარდა გარე ფასადებისა და განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ი) ქსილნალის უბნებში ნაგვის ურნების შეცვლა;
- კ) ქსილნალში ე.წ. „ბულვარის“ ტერიტორიაზე მოიჭრა გამხმარი ხეები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა, როგორც სხვა ხეებს, აგრეთვე საბავშვო ატრაქციონებს;
- ლ) ქსილნალში გაუმჯობესდა ათლეტიზმის დარბაზის პირობები;
- მ) ქსილნალში ჩემი ინიციატივით მოხდა დემონტაჟი უკანონო გარე რეკლამების.
- ნ) ქსილნალში ამჟამად მიმდინარეობს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა.

7. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 25 და თითოეულ შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა 60-70.

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

დასაქმებასთან დაკავშირებული, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხები.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები -

(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ბევრ მოქალაქეს გაეწია რეკომენდაცია მედიკამენტებისა და ფინანსური დახმარების მისაღებად, საახალწლო საჩუქრები გადავეცით მინდობით აყვანილ ბავშვებს.

შევსების თარიღი: 25.10.2019 წელი

წარდგენის თარიღი: 25.10.2019 წელი

ხელმოწერა: 

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ცოტნე ბეჟაშვილის
ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ**

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, ფრაქციის „ქართული ოცნება“ თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიების წევრი.


წლის საანგარიშო პერიოდში ვესწრები საკრებულოს, ფრაქციის „ქართული ოცნება“, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიების სხდომებს, ყოველ კვირას ვხვდები ქალაქ სიღნაღის ამომრჩევლებს და ყველგან აქტიურად ვაფიქსირებ საკუთარ პოზიციებს. ორიენტირებული ვარ მოსახლეობისთვის სოციალური, ეკონომიკური, ახალგაზრდებისათვის სპორტული და კულტურული აქტივობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული და ტექნიკური გარემოს გაუმჯობესებაზე.

ქალაქ სიღნაღში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, კერძოდ: სხვადასხვა ქუჩებზე (გოძიაშვილი, სარაჯიშვილი, ვაჟა-ფშაველა (ასევე კორპუსებს შორის), ჭავჭავაძე, გორგასალი, აბრამიშვილი, კვერნაძე) ჩატარდა ს/გზების/საფარის (ასფალტობეტონი, ქვანაღილი) სარეაბილიტაციო და „ნასამხრალის“ ტერიტორიაზე ჭაბურღილისა და წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები, ნუკრიანისა და სიღნაღის დამაკავშირებელი გზის შეკეთება, გორგასლის ქუჩის მიმდებარედ ციხე გალავნის ტურისტულ ბილიკთან მისასვლელი ხის კიბის რეაბილიტაცია, მოხდა ორმილის გზის გასუფთავება ეკალ-ბარდებისაგან და კანალიზაციის მილის შეცვლა, მოწესრიგდა საჯარო სკოლაში მისასვლელი კიბეები, ასევე შიდა სველი წერტილები და სპორტდარბაზი, კოსტავას ქუჩაზე მოხდა სანიაღვრე ჭის გაწმენდა, ჩატარდა გარე ფასადებისა და განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები, შეიცვალა უბნებში ნაგვის ურნები, ბევრ მოქალაქეს გაეწია რეკომენდაცია მედიკამენტებისა და ფინანსური დახმარების მისაღებად, საახალწლო საჩუქრები გადაეცით მინდობით აყვანილ ბავშვებს, ე.წ. „ბულვარის“ ტერიტორიაზე მოიჭრა გამზარი ხეები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა, როგორც სხვა ხეებს, აგრეთვე საბავშვო ატრაქციონებს, გაუმჯობესდა ათლექტიზმის დარბაზის პირობები, ამჟამად მიმდინარეობს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა, მეწყერით დაზარალებულ მაცხოვრებლებს გაეწიათ დახმარება და გადაეცათ საცხოვრებელი სახლები, ჩემი ინიციატივით უკანონო გარე რეკლამების დემონტაჟი მოხდა.

ქალაქ სიღნაღში განხორციელდა ბევრი პროექტი, მაგრამ სამომავლოდ მოსაწესრიგებელია სასაფლაოს გზა, სკვერები (საბავშვო ატრაქციონები), ორმილის

დასახლებაში კორპუსების ჭერი, ბაზარი, სტადიონი, საბავშვო ბაღი და სანდრო მირიანაშვილის სახლ-მუზეუმი.

საკრებულოს წევრი:



ცოტნე ბეჟაშვილი

25.10.2019 წელი